სსიპ ქალაქ თბილისის მე-14 საჯარო სკოლა

როგორ განუვითაროთ მოსწავლეებს
გაწაფული კითხვის უნარი პირველ კლასში

იათამზე ქოსაშვილის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

თბილისი. 2018-2019 სასწ. წელი

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი კვლევის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემ მიერაა შესრულებული და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიუღებელ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იათამზე ქოსაშვილი

31.05.2019

სარჩევი:

შესავალი ----------4

თავი I

საკვლევი საკითხის განსაზღვრა, მისი აქტუალობა და სავარაუდო მიზეზები-----6

თავი II

ლიტერატური მიმოხილვა----------10

თავი III

კვლევის მიზანი, ამოცანები და კვლევის განხორციელების გზები ----------16

თავი IV

კვლევის შედეგები, მონაცემთა ანალიზი ----------18

თავი V

განხორციელებული ინტერვენციები, მათი შეფასება და აალიზი ----------22

თავი VI

კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები ----------25

თავი VII

დასკვნა----------27

ბიბლიოგრაფია ----------29

დანართი ----------30

კვლევის რეფლექსია ----------39

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ანგარიშს ჩემი პედაგოგიური კვლევისა, რომელიც განვახორციელე სსიპ ქალაქ თბილისის მე-14 საჯარო სკოლაში, პირველ კლასში, 2018/2019 სასწავლო წელს (დეკემბრიდან მაისის ჩათვლით).

ამ სკოლაში 1990 წლიდან ვმუშაობ, ვასწავლი დაწყებით კლასებს. კერძოდ, 2018/2019 სასწავლო წელს მყავს პირველი კლასი, რომელშიც 20 მოსწავლეა.

დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიაა წიგნიერების, როგორც საბაზისო უნარის, განვითარების ხელშეწყობა. წიგნიერება კი, გამართული /გაწაფული კითხვის კომპონენტის გარეშე წარმოუდგენელია.

როგორც აღვნიშნე, კვლევა ვაწარმოე პირველ კლასში. კვლევაზე მუშაობა დავიწყე დეკემბერში, საანბანო პერიოდის დასასრულს, როდესაც გამოიკვეთა პრობლემა. შევამჩნიე, რომ მოსწავლეებს უჭირდათ შესწავლილი ასოების ცნობა, მათი მარცვლებად, მარცვლების სიტყვებად გამთლიანება და ამოკითხვა, საანბანო ტექსტების კითხვა. ასოებისა და სიტყვების ამოკითხვის ტესტებმა დაბალი შედეგები მაჩვენა. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მოვიძიე და გავეცანი სათანადო ლიტერატურას, დავგეგმე და განვახორციელე შესაბამისი ინტერვენციები, პერიოდულად ვახდენდი მიღწეული შედეგების მონიტორინგს, ვაკეთებდი დასკვნებს. გაწეული მუშაობა მაისის ბოლოს წარმოვადგინე ანგარიშის სახით და დავურთე რეფლექსია.

საკითხის აქტუალობის, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გადავწყვიტე, კვლევა მთელ კლასთან მეწარმოებინა.

კვლევის პროცესის შესახებ დასაწყისშივე ვაცნობე მშობლებს, გავაცანი მიზანი, ავუხსენი საჭიროებები და მოსალოდნელი დადებითი შედეგები.

აღნიშნული კვლევა ჩემთვის პირველია და მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღე, რომელიც გავუზიარე კოლეგებს და მათგან მივიღე უკუკავშირი. საკვლევი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მიღებული შედეგები და რეკომენდაციები მათთვისაც სასარგებლო და საინტერესო იყო.

მშობლებმა მიიღეს საჭირო რჩევები და რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ საკუთარ შვილებს წიგნიერების უნარების განვითარებაში.

მოსწავლეებმა, მრავალფეროვანი მეთოდებისა და აქტივობების დახმარებით, შეძლეს სწავლება-სწავლის ამ ეტაპის შესაბამისად გაწაფულიყვნენ კითხვაში.

ნაშრომი შედგება 7 თავისგან: I თავში განხილულია გაწაფული კითხვის, როგორც საკითხის აქტუალობა და სავარაუდო მიზეზები; II თავში ლიტერატურის მიმოხილვაა, სადაც საუბარია წიგნიერებისათვის აუცილებელ უნარებზე და ყურადღება გამახვილებულია

გაწაფული/გამართული კითხვის უნარის განმავითარებელ აქტივობებზე ; III თავში განხილულია კვლევის მიზნები, ამოცანები და განხორციელების გზები; IV თავში მოცემულია კვლევის შედეგები, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი; V თავში განხილულია დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, მოცემულია მათი შეფასება და ანალიზი; VI თავში გაწერილია კვლევის მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები; VII თავში წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია. ნაშრომს ახლავს დანართი (კვლევის გეგმა, ტესტებისა და კითხვარების ნიმუშები, ტესტირების აღრიცხვის ცხრილი და დიაგრამები) და რეფლექსია.

თავი I

საკვლევი საკითხის განსაზღვრა, მისი აქტუალობა და სავარაუდო მიზეზები

ესგ-ის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი უმთავრესი მისიაა წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. წიგნიერება, თავის მხრივ, გულისხმობს: ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარების განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად კი, უპირველესად, საჭიროა მოსწავლემ გაწაფულად/გამართულად კითხვა შეძლოს. (დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, 2016)

სწორედ ამ უნარის განვითარებაა ერთ-ერთი უპირველესი მიზანი ზოგადად დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით პირველ კლასში. თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ კლასში სწავლების ძირითადი წილი საკლასო მუშაობაზე მოდის, ნათელი ხდება, რამდენად დიდია ამ საქმეში მასწავლებლის როლი, რამდენად მნიშვნელოვანია მის მიერ სწავლების სწორად დაგეგმვა და წარმართვა.

მრავალწლიანმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ კითხვის უნარების განვითარებაზე მუშაობა საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა, როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის.

უმეტესად, თუ მოსწავლემ ამ ეტაპზე ვერ მოახერხა კითხვაში სათანადოდ გაწაფვა, შესაძლოა ეს პროცესი მისთვის არასასურველ, მტანჯველ საქმიანობად გადაიქცეს, რაც უარყოფითად იმოქმედებს სწავლისადმი მოტივაციასა და მიღწევებზე. უფრო მეტიც, კვლევების თანახმად (კუტალაძე, 2013), კითხვის სერიოზული პრობლემები კავშირშია ანტისოციალურ ქცევებთან. მოსწავლეები, რომელთაც კითხვაში პრობლემები აქვთ, სხვებზე მეტად ავლენენ ქცევის პრობლემებს, უჩნდებათ შფოთი და ნეგატიური ემოციები, ხდებიან აგრესიულები. ანალოგიური პრობლემის შესახებ ხშირად მსმენია არა მარტო დაწყებითი, არამედ ზედა საფეხურების პედაგოგებისგანაც.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კითხვის უნარებზე მუშაობა ჯერ კიდევ წინასაანბანო პერიოდში დავიწყე. ეს იყო მათი სახელები ბუშტებზე, სურათებიანი ბარათები, თუ კლასში განლაგებული ნივთების სახელები, რომელთა „ამოკითხვა" ბარათებზე ძალიან მალე შეძლეს.

საანბანო პერიოდში, მოსწავლეებისათვის კითხვის შესწავლის პროცესის გასაადვილებლად, მათი მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, ვიყენებდი კითხვის სწავლების სხვადასხვა მეთოდებს: საჩვენებელი, გაგრძელებით, მონაცვლეობით, მინიშნებით კითხვა, როლური კითხვა...

თუმცა ანბანის ცოდნა არ ნიშნავს კითხვის ცოდნას. საანბანო პერიოდის დასასრულს შევატყვე, რომ მიუხედავად ჩემი ძალისხმევისა, მოსწავლეთა ნაწილს უჭირდა ასოების მარცვლებად და მარცვლების სიტყვებად გაერთიანება და ამოკითხვა, საანბანო ტექსტების კითხვა.

სათანადო დამხმარე მეთოდური ლიტერატურის ძიებისას, ირინა სამსონიას მასწავლებლის სახელმძღვანელოში „წიგნიერება" (სამსონია, „წიგნიერება" მასწავლებლის

სახელმძღვანელო, 2013), წავაწყდი საინტერესო ინფორმაციას. ავტორი „გაწაფული კითხვის" შესაბამისად ხმარობს ტერმინს „თავისუფლად კითხვა", საუბრობს ამ უნარის მნიშვნელობაზე და გვთავაზობს ორი სახის ინტერვენციას: განმეორებითი კითხვა და მრავალფეროვანი, ურთიერთგანსხვავებული ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა. თან დასძენს, რომ ამ მეთოდთაგან ერთ-ერთის უპირატესობასთან დაკავშირებით კითხვის სპეციალისტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, თუმცა კვლევა, რომელიც ამ ორი მეთოდის შედარებითი ანალიზის შედეგებს მოგვცემდა, ჯერ არ ჩატარებულა.

ამან განაპირობა საკვლევი თემის შერჩევა. არჩევანის მართებულობაში დამარწმუნა დეკემბრის ბოლოს ჩატარებულმა კითხვის დიაგნოსტიკურმა ტესტირებამაც, რომელზეც ჩემმა მოსწავლეებმა არასახარბიელო შედეგები აჩვენეს.

ამიტომ **საკვლევი კითხვა** ჩამოვაყალიბე ასე: როგორ განუვითაროთ მოსწავლეებს გაწაფული კითხვის უნარი პირველ კლასში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გაწაფული კითხვა რამდენიმე კომპონენტით ფასდება: სიზუსტე, სიჩქარე და გამომსახველობით (სათანადო ინტონაციით) წაკითხვა. რა თქმა უნდა, პირველ კლასში, როდესაც სასწავლო დროის დიდი ნაწილი ანბანის შესწავლას ეთმობა, შეუძლებელია მოსწავლემ სრულად შეძლოს ყველა კომპონენტის დაკმაყოფილება, თუმცა საწყისი უნარების გამომუშავება მიღწევად მიზნად მიმაჩნია.

მიზნის შესაბამისად, დავსახე **კვლევის ამოცანები:**

- მოვახდინო გამოვლენილი პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და დავსახო მისი გადაჭრის გზები;
- გავეცნო, შევარჩიო და გამოვიყენო გაწაფული კითხვის უნარის განვითარებისთვის საჭირო ინოვაციური მეთოდები და ეფექტური სტრატეგიები;
- დავაკვირდე, რომელი მეთოდი/ სტრატეგიაა განსაკუთრებით ეფექტური ამ მიზნის მისაღწევად;
- თანაბრად ეფექტურია თუ არა ეს მეთოდები თითოეული მოსწავლისთვის;
- გავაანალიზო და შევაჯამო შედეგები;
- შევიმუშაო რეკომენდაციები, მოვახდინო შედეგებისა და დასკვნების პრეზენტაცია;
- ჩემი კვლევის შედეგები გავუზიარო კოლეგებს. მათი უკუკავშირის გათვალისწინებით, გავაუმჯობესო საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა.

ინტერვენციების დაგეგმვამდე საჭირო იყო პრობლემისა და მისი წარმომქმნელი **სავარაუდო მიზეზების იდენტიფიცირება.** ამ მიზნით, კითხვარის საშუალებით, გამოვკითხე კოლეგები, მშობლები. გამოკითხვის შედეგებმა გამოკვეთა რამდენიმე საკითხი:

- არაწიგნიერი გარემო;
- მშობელთა არასაკმარისი ჩართულობა;
- დაბალი შინაგანი მოტივაცია;
- არასწორად განაწილებული სწავლების პერიოდები პირველ კლასში;

- სახელმძღვანელოები;
- კითხვის დასწავლის არასწორი მეთოდოლოგია;
- არასაკმარისი საგაკვეთილო დრო;
- დამატებითი რესურსების სიმცირე.

ჩემი კვლევის **ჰიპოთეზაა:** თუ სწორად დავგეგმავ და განვახორციელებ სასწავლო აქტივობებს, ყველა მოსწავლე შეძლებს გაიწაფოს კითხვაში თავისი შესაძლებლობების შესაბამისად.

ჩემი აზრით, ამ კვლევის ჩატარება დამეხმარება, შეძლებისდაგვარად, პირველ კლასშივე გავწაფო მოსწავლეები კითხვაში, რაც გაუადვილებს მათ შემდგომ კლასებში კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას და სხვადასხვა სახისა და სირთულის ტექსტებზე მუშაობას. თავისუფლად კითხვის პრობლემის მოხსნა მათ საშუალებას მისცემს მეტად იყვნენ ორიენტირებულნი ლექსიკურ მარაგსა და ტექსტის გაგება-გააზრებაზე.

მომდევნო თავში მიმოვიხილავ ამ თემაზე ჩემ მიერ მოძიებულ და დამუშავებულ სამეცნიერო მეთოდურ ლიტერატურას.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

წიგნიერების ცნება მხოლოდ კითხვისა და წერის სწავლებას არ გულისხმობს. მისი გაგება ბევრად ფართოა და მოიცავს „კითხვის ტექნიკის გაწაფვას და წაკითხულის კრიტიკულად გააზრებას, მრავალფეროვანი მხატვრული და ინფორმაციულ-შემეცნებითი, კითხვით-პრაგმატული ტექსტების წაკითხვის, შექმნის, განხილვის, გადამუშავებისა და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უნარებს." (http://kargiskola.ge)

წიგნიერება, როგორც „ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და

წარდგენა-გაზიარების უნარი" ერთ-ერთია ესგ-ის პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციება შორის (დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, 2016)

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წიგნიერების საფუძველი კითხვის უნარის განვითარებაა, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვას, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

კითხვის მნიშვნელობა მხოლოდ მოცემული ტექსტის გააზრებით არ შემოიფარგლება. კითხვა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, დიდ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა კოგნიტური უნარის განვითარებაზე. აღნიშნული ზეგავლენის ხარისხი დამოკიდებულია კითხვის მოცულობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად ბევრს კითხულობს ბავშვი. (ანა ჯანელიძე,ნინო ლაბარტყავა, ვიოლეტა კვირიკაშვილი, ქეთევან ქობალია, 2014)

სწორედ წიგნიერების საბაზისო უნარების განვითარების ხელშეწყობაა დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი მისია. (დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, 2016)

სწორედ დაწყებით საფეხურზე უნდა დაიწყოს მისი ,,ეფექტურ მკითხველად", წიგნიერ პიროვნებად ჩამოყალიბება. ,,კვლევები ადასტურებს, რომ თუ ბავშვმა ცხრა წლის ასაკს ისე გადააბიჯა, რომ კითხვის საბაზისო უნარები არასათანადოდ ჩამოუყლიბდა, მისი შემდგომი აკადემიური მოსწრება დიდი საშიშროების წინაშე დგება. კითხვაში წარუმატებელი ბავშვების უმრავლესობა (80/90%) სკოლის დამთავრებამდე წარუმატებელ მოსწავლედ გვევლინება". (პაატა პაპავა,ნათია ნაცვლიშვილი,ნატო მახარობლიძე, მაკა მახარობლიძე, ქეთი ფიცხელაური, 2013)

კითხვის უნარის დაუფლება ხუთი ძირითადი კომპონენტის განვითარებას გულისხმობს: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანის ცოდნა, ლექსიკური მარაგი, გაწაფული/გამართული კითხვა და გაგება-გააზრება. კითხვაში წარმატებისთვის ხუთივე კომპონენტი აუცილებელია. (http://kargiskola.ge)

ეს 5 მიმართულება სწავლის ყველაზე ძლიერი საყრდენებია არა მხოლოდ მშობლიური ენის, არამედ ნებისმიერი საგნის შესწავლისას (პ. პაპავა, 2012)

კითხვის სწავლა, უპირველესად გულისხმობს ენის გრაფიკული ერთეულების (ასოს, სიმბოლოს, პიქტოგრამის) ფონემურ ერთეულებთან (ბგერებთან) შესატყვისობის გაგებას, რასაც

დეკოდირების პროცესი ეწოდება. (კითხვის თანამედროვე მოდელები და სწავლების პრაქტიკა, 2008).

ძალდაუტანებელი დეკოდირება აუცილებელი საფეხურია მთლიანი სიტყვებით სწრაფი კითხვისაკენ. ბევრი მკვლევარი ასკვნის, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი გამართულ კითხვასა და გაგება-გააზრებას შორის. ნელი დეკოდირება (სიტყვების ამოკითხვაზე საკმარისზე მეტი დროის დახარჯვა) აფერხებს წაკითხულის გაგება-გააზრებას. თუ მოსწავლე დიდ დროსა და ყურადღების კონცენტრირებისათვის საჭირო ენერგიას ხარჯავს კითხვის ტექნიკურ მხარეზე, წაკითხულის მნიშვნელობის გაცნობიერებას ვეღარ ახერხებს. საგულისხმოა, რომ ასეთი ვითარება კითხვის პროცესისადმი განწყობა-დამოკიდებულებაზეც უარყოფითად აისახება. პირიქით, თუ მოსწავლე ავტომატურად ახერხებს სიტყვების დეკოდირებას, მას მეტი გონებრივი რესურსი უთავისუფლდება წაკითხულის გააზრებისა და ავტორის ჩანაფიქრზე ფოკუსირებისთვის. (ნ.ბესელია, პ. პაპავა, 2011)

თუმცა გამართული, გაწაფული კითხვისთვის მხოლოდ დეკოდირება, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა.

კითხვა გამართულია, როცა მკითხველი კითხულობს უშეცდომოდ და სწრაფად. ჩუმად კითხვის დროს ავტომატურად ამოიცნობს სიტყვებს, ცალკეული სიტყვების დეკოდირების გარეშე, და იმგვარად აჯგუფებს მათ, რომ ტექსტის შინაარსს ადვილად იგებს. გამართულ მკითხველს ხმამაღლა წაკითხვა ძალისხმევის გარეშე და გამომეტყველებით შეუძლია. წაკითხული ბუნებრივად ჟღერს და ზეპირმეტყველებას ჰგავს. როცა მოსწავლე გამართულად კითხულობს, სასვენ ნიშნებთან მცირე პაუზებს აკეთებს, კითხულობს ინტონაციით. (პაატა პაპავა,ნათია ნაცვლიშვილი,ნატო მახარობლიძე, მაკა მახარობლიძე, ქეთი ფიცხელაური, 2013)

გამართულად კითხვაში საკვანძო მომენტია სიტყვის ნაწილებად ამოკითხვიდან მთელი სიტყვებით კითხვაზე გადასვლა. ,,გამართული კითხვა არის ხიდი კითხვის ტექნიკასა და გაგებას შორის. კითხვის გამართვის, ანუ ტექნიკური მხარის ავტომატურ რეჟიმში გადასვლის შედეგად, მკითხველის ძალისხმევა, ძირითადად, ტექსტის მნიშვნელობის კონსტრუირებას ეთმობა". (პაატა პაპავა,ნათია ნაცვლიშვილი,ნატო მახარობლიძე, მაკა მახარობლიძე, ქეთი ფიცხელაური, 2013)

კითხვაში გაწაფვა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. სხვადასხვა ლიტერატურაში ის მოიხსენიება, როგორც ,,სწრაფი კითხვა", ,,თავისუფლად კითხვა" ან/და ,,გამართულად კითხვა".

ბოლო წლებში კითხვის ბევრი ახალი მეთოდი გამოჩნდა და დაინერგა ჩვენს საგანმანათლებლო სფეროში. ამ მეთოდების მიზანია, გაუმარტივოს მოსწავლეებს კითხვის შესწავლის რთული პროცესი და ჩამოუყალიბოს სათანადო უნარებ-ჩვევები.

ირინა სამსონიას აზრით: ,, თავისუფლად კითხვა ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ მკითხველი გაიაზრებს წაკითხულს, მაგრამ ამ უნარის გამომუშავება წარმატებულ მკითხველად

ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს" (სამსონია, „წიგნიერება" მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013). ამ უნარის დასაუფლებლად ავტორი გვთავაზობს ორი სახის ინტერვენციას:

- განმეორებითი ხმამაღალი კითხვა (ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და მოსმენა);
- მრავალფეროვანი, ურთიერთგანსხვავებული ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა (მოსწავლეები ინტენსიურად კითხულობენ სხვადასხვა სახის რაც შეიძლება ბევრ ტექსტს).

ამ მეთოდების (განმეორებითი და ერთჯერადი კითხვის) წარმატებულობის შესახებ კითხვის სპეციალისტებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მათი ნაწილი (მათ შორის ავტორიც) ორივე სახის ინტერვენციის გამოყენებას გვირჩევს.

კითხვაში გასაწაფად ამავე ორ ძირითად მიდგომას გვთავაზობენ ავტორები წიგნისა „წიგნიერება დაწყებით კლასებში" (ნ.ბესელია, პ. პაპავა, 2011)

- განმეორებითი კითხვა ანუ პირდაპირი მიდგომა, მოიცავს მოდელირებას (მასწავლებლის/სხვა კარგი მკითხველის მიერ დემონსტრირებას, ან აუდიოჩანაწერს) და შემდგომ ვარჯიშს დროის მოცემულ მონაკვეთში გამეორებითი წაკითხვის გზით, სანამ სასურველ შედეგს არ მივაღწევთ;
- არაპირდაპირი მიდგომა, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა მიერ დამოუკიდებლად კითხვას თავისუფალ დროს, ე. წ. მოხალისეობრივ კითხვას. წიგნის ავტორების თქმით, ასეთი კითხვა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ყოველდღიურად იკითხონ და განიცადონ სიამოვნება.

განმეორებითი კითხვის მიმართულებით რამდენიმე მეთოდი/სტრატეგიაა აღწერილი მასწავლებლის სახელმძღვანელოში „წიგნიერება" (პ. პაპავა, 2012):

1)„განმეორებითი კითხვა"-ინდივიდუალური აქტივობა, რომელიც აუმჯობესებს კითხვის ტექნიკას, მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლის მოტივაციას და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მიღწეულ პროგრესს;

2) „მკითხველთა თეატრი"-მცირე ჯგუფებთან ან მთელ კლასთან სამუშაოდ. ავტორთა აზრით, ეს აქტივობა ეფექტური და ბუნებრივი გზაა გამართული კითხვის დასახვეწად, რადგან ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში, ოსტატდებიან საუბარში და ინტერესითა და პატივისცემით იმსჭვალებიან ლიტერატურისადმი.

3) „კითხვა წყვილებში"-აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ ტექსტი ერთობლივად წაიკითხონ და გადმოსცენ შინაარსი. სახელმძღვანელოს ავტორები გვირჩევენ, წყვილები განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მკითხველებით დავაკომპლექტოთ.

მრავალფეროვან აქტივობებს გვთავაზობენ ასევე სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებულის „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე" (G-PRIED, 2015) ავტორები.

ეს აქტივობებია: კითხვის მატარებელი, კითხვა აუდიოჩანაწერის დახმარებით, ფრაზებად კითხვა, ხმამაღლა კითხვა შეცდომებით, რადიოკითხვა...

განმეორებითი კითხვა რომ მოსაბეზრებელი და დამღლელი არ გახდეს, სასურველია, მოსწავლეებს ვასწავლოთ, როგორ ისწავლონ. ამისთვის პედაგოგი ხათუნა ყოჩიაშვილი, თავის სტატიაში, გვთავაზობს მეთოდს „ლუფსი", რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება წასაკითხი ტექსტი მარტივად და მოკლე დროში დაისწავლონ. (ყოჩიაშვილი, 2017)

არანაკლებ ეფექტურად და საინტერესოდ შეიძლება წარიმართოს მრავალფეროვანი, ურთიერთგანსხვავებული ტექსტების ერთჯერადად, ანუ დამოუკიდებლად კითხვა.

არსებობს მოსაზრება, რომ ერთჯერადი კითხვის მეთოდის სისტემატური გამოყენება საგრძნობლად უწყობს ხელს უცნობი და ურთიერთგანსხვავებული ტექსტების კითხვაში გაწაფვას, კერძოდ: სწრაფად კითხვის, სიტყვების ამოცნობისა და წაკითხულის გააზრების უნარების განვითარებას... ერთჯერადად კითხვა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაეცნონ სხვადასხვა ტიპის ტექსტების სტრუქტურას, დაეუფლონ ახალ ლექსიკას, შინაარსობრივი მრავალფეროვნების წყალობით მიიღონ ბევრი საინტერესო ინფორმაცია. (სამსონია, „წიგნიერება" მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013)

ერთჯერადად კითხვისათვის ავტორები წიგნისა „წიგნიერება დაწყებით კლასებში" (ნ.ბესელია, პ. პაპავა, 2011) გვთავაზობენ ჩუმ, დამოუკიდებელ, „მოხალისეობრივ" კითხვას. ამ აქტივობისათვის თითოეული მოსწავლე შეარჩევს სასურველ ტექსტს და კითხულობს გარკვეული დროის განმავლობაში. აქვე საუბარია მეთოდის სამ ძირითად წესზე:

1) კითხულობს ყველა, მათ შორის მასწავლებელიც. არანაირი ტესტები და დავალებები. კითხვა მხოლოდ სიამოვნებისა და სიხარულის მომტანი უნდა იყოს;

2) პროცესი არაფერმა არ უნდა შეწყვიტოს, რათა არ მოხდეს მოსწავლეებში გაგება-გააზრების შეფერხება და ინტერესის დაკარგვა. შეკითხვებსა და კომენტარებს დრო კითხვის დასრულების შემდეგ დაეთმობა;

3) საჭიროა მოსწავლეებს ჰქონდეთ მდიდარი ლიტერატურიდან არჩევანის შესაძლებლობა. ამასთან, ტექსტები უნდა იყოს ე.წ. „იოლად საკითხავი", რადგან, ავტორთა აზრით, გამართული კითხვის მისაღწევად რაოდენობა შინაარსზე უფრო მნიშვნელოვანია.

მოსწავლეთა კითხვაში გაწაფვისათვის ასევე შესაძლებელია გამოვიყენოთ უცნობ ტექსტზე მუშაობის სხვა ვარიანტები: უცნობი ტექსტი სტრიქონებში სიტყვებს შორის საკმაოდ მოზრდილი და განსხვავებული დაშორებებით; ტექსტი უცნობი და ძნელად წასაკითხი სიტყვებით. (ნათია ნაცვლიშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი, 2013)

აქვე მინდა ავღნიშნო „სწრაფი კითხვის" მეთოდის შესახებ (კაციტაძე). ამ „პრობლემის" გადასაჭრელად ელინ ვუდმა (ის ერთი ვერსიით ცნობილი ადვოკატი ყოფილა, მეორე

ვერსიით–სკოლის მასწავლებელი) შეიმუშავა მეთოდი, რომელსაც ჯერ „ვუდის მეთოდი" უწოდეს, შემდეგ –„სწრაფი კითხვის". მეთოდის მიხედვით, თუ კითხვის დროს ტექსტს საჩვენებელ თითს გავაყოლებთ, ეს დაგვეხმარება ტექსტზე ფოკუსირებაში და გაცილებით გაიზრდება კითხვის სისწრაფე.

ამრიგად, სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობისას ჩემთვის ნათელი გახდა, როგორ შეიძლებოდა სათანადოდ დამეგეგმა ინტერვენციები კვლევის მიზნების მისაღწევად.
საჭირო იყო აქტივობები შემერჩია ორი მიმართულებით: განმეორებითი და ერთჯერადი კითხვა.

მომდევნო თავში მიმოვიხილავ კვლევის მეთოდოლოგიას: მიზანს, საკვლევ კითხვებს, გეგმას, საკვლევ ჯგუფს, კვლევის ინსტრუმენტებსა და რესურსებს, ვისაუბრებ კვლევის სანდოობასა და შეზღუდვებზე.

თავი III

კვლევის მიზანი, ამოცანები და განხორციელების გზები

კვლევის მიზანი: ჩემი კვლევის მიზანი იყო, შემესწავლა კითხვაში არსებული პრობლემები, დამედგინა მოსწავლეების მიღწევის დონე ამ მიმართულებით, მეპოვა განვითარების ხელშემშლელი მიზეზები და მისი გადაჭრის გზები, შემერჩია და განმეხორციელებინა ინტერვენციები, ანუ დავხმარებოდი მოსწავლეებს გაწაფული კითხვისათვის საჭირო უნარების განვითარებაში, გამეანალიზებინა და კოლეგებისთვის გამეზიარებინა მიღებული შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები.

საკვლევი კითხვა: მიზნის შესაბამისად, მთავარი საკვლევი კითხვა ასე ჩამოვაყალიბე: როგორ განუვითაროთ მოსწავლეებს გაწაფული კითხვის უნარი პირველ კლასში?

ვიმედოვნებდი, რომ კვლევა საშუალებას მომცემდა, პასუხი გამეცა კითხვებისათვის:

- რა არის პრობლემის გამომწვევი მიზეზი (სწავლისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონა, დაბალი მოტივაცია, სიზარმაცე...)?
- რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებული, ეფექტური სტრატეგიების გამოყენება გაწაფული კითხვის უნარის გასავითარებლად?
- რომელი მეთოდები და სტრატეგიებია ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით ეფექტური?
- თანაბრად ეფექტურია თუ არა ეს მეთოდები თითოეული მოსწავლისათვის?
- არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტების შინაარსი და ვიზუალური მხარე მოსწავლისთვის საინტერესო?
- ხომ არ ქმნის პრობლემას ტექსტის სირთულე ან მოცულობა?
- როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო? რა თემების შესწავლა გაზრდის მათ ინტერესს ტექსტის მიმართ?

კვლევის გეგმა: აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე და დროში გავწერე კვლევის გეგმა (იხ. დანართი 1)

საკვლევი ჯგუფი: საკვლევი ჯგუფი იყო ჩემი სადამრიგებლო პირველი კლასი. კვლევაში მონაწილეობდა ყველა მოსწავლე. ინტერვენციების განხორციელებისა და შეფასების დროს ვითვალისწინებდი მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

კვლევის სანდოობა: კვლევის შედეგების სანდოობას განაპირობებს კვლევის მიმდინარეობისას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების ერთობლივი გამოყენება: უბრალო და ჩართული დაკვირვება, ტესტირება, ანკეტირება.

კვლევის მეთოდები: პრობლემის იდენტიფიცირებისათვის გამოვიყენე უბრალო და ჩართული დაკვირვება. დაკვირვებამ მიჩვენა, რომ მოსწავლეთა ნაწილს დახმარებითაც კი უჭირდა მარცვლებისა და სიტყვების მთლიანად ამოკითხვა.

საჭირო იყო დასახელებული პრობლემის ირგვლივ შემეგროვებინა მონაცემები და მომეხდინა მათი ანალიზი. ამისათვის გამოვიყენე ე.წ. „ერთწუთიანი კითხვა", კერძოდ, ასოებისა და სიტყვების ამოკითხვის ინდივიდუალური სადიაგნოსტიკო ტესტი. ამ ტესტირების მიზანი იყო, დამეზუსტებინა არსებული კვლევის საჭიროება.

კვლევის პროცესში დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარება კიდევ რამდენჯერმე დამჭირდა, რათა დამედგინა, რა შედეგები გამოიღო ჩემ მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა.(ტესტების ნიმუშები იხ. დანართი 2).

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, კოლეგების გამოცდილების გაზიარების მიზნით, მათთვის მოვამზადე კითხვარი ღია და დახურული კითხვებით. (იხ. დანართი 3).

კითხვარი მოვამზადე მშობლებისთვისაც. მათი პასუხები დამეხმარა გამომეკვეთა პრობლემის რამდენიმე მიზეზი. მათ შორის, კითხვის პრობლემიდან გამომდინარე, დაბალი მოტივაცია კითხვისადმი. (იხ. დანართი 4)

კვლევის რესურსად ვიყენებდი სახელმძღვანელოს, ტესტებს, მცირე ზომის ტექსტებსა და საბავშვო წიგნებს (მათ შორის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ G-PriEd-ი ფარგლებში მოწოდებულს).

კვლევის შეზღუდვა: კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კვლევა წარმოებდა პირველ კლსში. აქედან გამომდინარე, გამიჭირდა მრავალფეროვანი კვლევის მეთოდებისა და ინტერვენციების დაგეგმვა და გამოყენება.

მომდევნო თავში განვიხილავ კვლევის პროცესში გამოყენებულ მეთოდებს, მიღებულ შედეგებსა და მონაცემთა ანალიზს.

თავი IV

კვლევის შედეგები, მონაცემთა ანალიზი

საკვლევი საკითხი გამოიკვეთა უბრალო და ჩართული დაკვირვების საშუალებით.

შერჩეული საკითხის ამ პერიოდში მოსწავლეთათვის მნიშვნელობაში დამარწმუნა გაცნობილმა ლიტერატურამ, დიაგნოსტიკურმა ტესტირებამ და შედეგების ანალიზმა.

კოლეგების ანკეტირების მონაცემების გაცნობა დამეხმარა, გამომეკვეთა პრობლემის სავარაუდო მიზეზები, შემერჩია და დამეგეგმა საჭირო ინტერვენციები.

მშობელთა ანკეტირებამ კიდევ ერთხელ დამანახა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობისათვის კითხვის დაბალი მოტივაციის მიზეზი კითხვაში არსებული პრობლემებია.

კვლევის პროცესში რამდენჯერმე დამჭირდა დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარება. ტესტირების შედეგების მონიტორინგის მიზნით, შედეგები ცხრილში აღვრიცხე: (იხ. დანართი 5)

კრიტერიუმები წასაკითხი სიტყვების სავარაუდო რაოდენობისთვის შევიმუშავე საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ G-PRIED-ის მასალებში მოცემული ცხრილის მიხედვით (იხ. დანართი 6). აღნიშნულ ცხრილში პირველი კლასისათვის რაოდენობა განსაზღვრული არ არის, ამიტომ კრიტერიუმები მეორე კლასის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შევარჩიე.

მიღწევის დონე	დაბალი	საშუალო	მაღალი
წაკითხული სიტყვების რაოდენობა	15-მდე	15-დან 25-მდე	25 და მეტი

თითოეული ტესტირების შედეგები პროცენტულად გამოვსახე, რამაც გამიადვილა მათი შედარება და ანალიზი:

I და II ტესტირება ჩავატარე ორი მიმართულებით: ასო-ბგერების ცნობის ტესტი და სიტყვების კითხვა.

I პრე-ტესტი: ჩატარდა დეკემბრის ბოლოს. ტესტირების შედეგებმა დაასაბუთა კვლევის საჭიროება.

II ტესტირება: ჩატარდა თებერვლის შუა რიცხვებში, განმეორებითი კითხვის შედეგად მიღებული პროგრესის შესამოწმებლად. ტესტირებამ ასოების ამოცნობის მიმართულებით უკეთესი შედეგი აჩვენა, თუმცა სიტყვების ამოკითხვა მოსწავლეებს საკმაოდ უჭირთ.

მეორე ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე, ასოების ამოცნობის ტესტის ჩატარება საჭიროდ აღარ ჩავთვალე და ამიტომ მომდევნო ტესტირებებს მხოლოდ სიტყვების კითხვაზე ვაწარმოებდი.

ასო-ბგერების ცნობის ტესტი



სიტყვების კითხვა



IIIტესტირება: ჩატარდა მარტის დასაწყისში. განმეორებითი კითხვის შემდეგ ტესტირების შედეგები უკეთესი იყო, თუმცა არა სასურველი.



IV ტესტირება: ჩატარდა აპრილში, ერთჯერადი კითხვის მიმართულებით განხორციელებული ინტერვენციის შემდეგ .



.

V პოსტ-ტესტი-საბოლოო, შემაჯამებელი



თითოეული მოსწავლის პროგრესი, მათთვის და მშობლისთვის რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო, წარმოვადგინე ინდივიდუალური დიაგრამით: (იხ. დანართი 7)



როგორც პირველი და საბოლოო ტესტირებების შედეგების შედარებამ უჩვენა, საკვლევი პერიოდის განმავლობაში მოსწავლეთა პროგრესი კითხვის მიმართულებით თვალსაჩინოა. სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა უმეტესობა წუთში კითხულობს მეორე კლასისათვის დასაშვები საშუალო რაოდენობის სიტყვებს.

მომდევნო თავში ვისაუბრებ განხორციელებულ ინტერვენციებზე, მათ შეფასებასა და ანალიზზე.

თავი V

განხორციელებული ინტერვენციები, მათი შეფასება და ანალიზი

ინტერვენციები: საკვლევი საკითხის იდენტიფიცირების შემდეგ, ანკეტირებისა და პირველადი ტესტირების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, გაცნობილი ლიტერატურის საფუძველზე, ინტერვენციები დავგეგმე ორი მიმართულებით.

კვლევის პერიოდში ვიყენებდი ორივე მიმართულებას, თუმცა პერიოდულად მეტ დროს ვუთმობდი ერთ-ერთს, რათა გამერკვია, რომელი მიმართულება მეტად დამეხმარებოდა მიზნის მიღწევაში.

დეტალურად განვიხილავ თითოეულ მათგანს:

1) იანვრიდან მარტის არდადეგებამდე--განმეორებითი ხმამაღალი კითხვა (ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და მოსმენა).

ამ მიმართულებით მუშაობისას ვიყენებდი როგორც ტრადიციულ (საჩვენებელი, გაგრძელებით, მინიშნებით კითხვა, როლური კითხვა...), ასევე თანამედროვე კითხვის სწავლების მეთოდებს (გამეორებითი კითხვა, წყვილებში კითხვა, კითხვის მატარებელი, სიტყვების კედელი, დიდი წიგნის კითხვა, ფრაზებად კითხვა, მკითხველთა თეატრი...).

მუშაობა ძირითადად საგაკვეთილო პროცესში მიმდინარეობდა და მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, ხშირად მიწევდა აქტივობების ცვლა.

მოსწავლეთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა ენობრივი პრაქტიკის („მასწავლებელი კალამი") მეთოდი: მოსწავლეებს ვთავაზობდი სათამაშოს ან ილუსტრაციის შესახებ ტექსტის შექმნას, რომელსაც ვწერდით დაფაზე, ვქმნიდით დიდ წიგნებს. ერთობლივად შექმნილ ტექსტებს მეტი ხალისით კითხულობდნენ, ქმნიდნენ შესაბამის ილუსტრაციებსა და კომიქსებს.

მოსწავლეებს, რომლებიც ნელა პროგრესირებდნენ, ინდივიდუალურად ვურჩევდი აქტივობებს. მაგალითად, წყვილებს ვამუშავებდი „სიტყვის კედელთან". ისინი, ქვიშის საათის დახმარებით, ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტ სიტყვას წაიკითხავდა. ამ აქტივობას მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ, რადგან თამაშის სახე ჰქონდა.

მოსწავლეთა ნაწილს არ ჰყოფნიდა ნებისყოფა ტექსტის რამდენჯერმე წასაკითხად. ამიტომ ვასწავლე, როგორ გამოეყენებინათ „ლუფს" მეთოდი. (ყოჩიაშვილი, 2017). აღვწერ ამ მეთოდის გამოყენების ჩემეულ პრაქტიკას:

- მოსწავლე მეწყვილეს უკითხავს შესასწავლ ტექსტს და მისი დახმარებით, უბრალო ფანქრით მოინიშნავს სიტყვებს, რომელიც შეცდომით ამოიკითხა.
- მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს და რამდენჯერმე კითხულობს მხოლოდ გახაზულ სიტყვებს. სწორად ამოკითხულ სიტყვებს საშლელით აშორებს ხაზს;

- ყველა ხაზის წაშლის შემდეგ მოსწავლე მეწყვილეს ,,აბარებს" ტექსტს.

ეს მეთოდი მოსწავლეს მატებს რწმენას, რომ მას შეუძლია პრობლემის დაძლევა, საშუალებას აძლევს სწრაფად დაინახოს მიღწეული შედეგი.

2) მარტის მეორე ნახევრიდან მაისამდე--მრავალფეროვანი, ურთიერთგანსხვავებული ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა (მოსწავლეები ინტენსიურად კითხულობენ სხვადასხვა სახის რაც შეიძლება ბევრ ტექსტს).
მრავალფეროვან ტექსტებზე სამუშაოდ, მშობლებისა და სკოლის ბიბლიოთეკის დახმარებით, მოვაწყვე საკლასო ბიბლიოთეკა. წიგნების შერჩევისას ვითვალისწინებდი, რომ წიგნები ყოფილიყო, საფეხურის შესაბამისი: მცირე ზომის, კარგად კითხვადი შრიფტით, თემატურად საინტერესო და კარგად ილუსტრირებული (მშობელთა ანკეტირებიდან გამოჩნდა, რომ კარგი ილუსტრაციები უმთავრესი მამოტივირებელია ამ ასაკში).
ერთჯერადად კითხვის მიმართულებით სამუშაოდ გამოვიყენე ორი აქტივობა:

- საკლასო აქტივობა ,,კითხვის დრო". ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, საგაკვეთილო დროის 15 წუთს ვუთმობდი თავისუფალ კითხვას. მოსწავლეები, საკუთარი სურვილით, საკლასო ბიბლიოთეკიდან, ირჩევდნენ მცირე ზომის წიგნს და კითხულობდნენ. მოდელირების მიზნით, მათთან ერთად ვკითხულობდი მეც.
- კედელზე გავაკარი პლაკატი ,,მკითხველის დღიური". მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, საკლასო ბიბლიოთეკიდან წასაკითხად სახლში წაეღოთ წიგნები. წაკითხული წიგნის დაბრუნებას მოსწავლე მონიშნავდა ,,დღიურში", უზიარებდა მეგობრებს შთაბეჭდილებას და იღებდა ახალ წიგნს. პლაკატზე თვალნათლივ ჩანდა, ვინ მეტი წიგნი წაიკითხა, რაც აქტივობას შეჯიბრის სახეს აძლევდა და ზრდიდა მოსწავლეთა მოტივაციას.

ინტერვენციების შეფასება და ანალიზი:

როგორც ზემოთ ავღნიშნე, ჩემ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შესაფასებლად პერიოდულად ვატარებდი ტესტირებას, მონაცემებს ვადარებდი წინა ტესტირებების შედეგებს და ვახდენდი პროგრესის მონიტორინგს.

მარტის დასაწყისში ჩატარებულმა ტესტირებამ (მხოლოდ ,,განმეორებითი კითხვის" შემდეგ) პირველთან შედარებით უკეთესი შედეგი მომცა, თუმცა ბოლო ორი ტესტირების მონაცემებში (,, ერთჯერადად კითხვის" შემდეგ) მიღწეული პროგრესი ნათლად ჩანს.



ტესტირებების შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად თითქმის ყველა მოსწავლემ, ასაკის, კლასისა და შესაძლებლობების შესაბამისად, შეძლო მიეღწია ჩემ მიერ დასახული კვლევის მიზნისთვის.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა შედეგები და მოტივაცია განსაკუთრებით გაუჯობესდა მრავალფეროვანი ტექსტების ერთჯერადად კითხვის პროცესში, რაც კარგად ჩანს IV და V ტესტირების შედეგებში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთჯერადად კითხვის პროცესი მოწყვეტილი არ ყოფილა სასწავლო პროცესს, რადგან პარალელურ რეჟიმში გვიწევდა სასწავლო მასალის გავლა განმეორებითი კითხვის მეთოდით. ამიტომ მიღწეული პროგრესი, გარკვეულწილად, ორივე მიმართულებით ერთდროულად მუშაობის შედეგია.

ვაპირებ კვლევის დასრულების შემდეგაც, მომდევნო წლის სექტემბერშივე ჩავატარო მსგავსი ტესტირება. საინტერესოა, როგორი იქნება არდადეგების შემდეგ ჩატარებული ტესტირების შედეგები, რომელიც მხოლოდ ერთჯერადი, დამოუკიდებელი კითხვით იქნება მიღებული.

მომდევნო თავში აღვწერ კვლევის მიგნებებს და შემუშავებულ რეკომენდაციებს.

თავი VI

კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები

მიგნებები: კვლევის პროცესში, პრობლემის იდენტიფიცირების, თეორიული მასალის მიმოხილვის, კოლეგების გამოცდილების გაზიარების, დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- მოსწავლეებში კითხვისადმი დაბალი მოტივაციის მიზეზი ხშირად კითხვის ტექნიკაში არსებული პრობლემებია. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ კითხვაში გაწაფული მოსწავლეები მეტი ხალისით და მეტს კითხულობენ;
- მოსწავლეებში გაწაფული კითხვის უნარების განვითარებისათვის აუცილებელია როგორც განმეორებითი, ასევე ერთჯერადად კითხვის მიმართულებით მუშაობა. ერთჯერადად სხვადასხვა ტექსტების კითხვით მიღწეული პროგრესი უფრო სწრაფი და თვალსაჩინოა;
- თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად პროგრესირდება, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ამიტომ მათი მიღწევები ინდივიდუალურად უნდა შევაფასოთ და წავახალისოთ;
- ანკეტირების შედეგად გამოვლინდა, რომ მშობელთა უმრავლესობას გააზრებული აქვს, რატომ არ უნდათ მათ შვილებს კითხვა. იციან, რომ მიზეზი კითხვის სუსტი უნარებია, თუმცა არ იციან როგორ დაეხმარონ. ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მშობლების ჩართულობის გაზრდა და მათი ინფორმირება.

რეკომენდაციები: კვლევის შედეგებსა და მიგნებებზე დაყრდნობით, გაწაფული კითხვის უნარებზე მუშაობის ეფექტურობის გაზრდისათვის, შევიმუშავე რეკომენდაციები:

- **კოლეგებისათვის:**
- მოსწავლეების კითხვაში გაწაფვისათვის მნიშვნელოვანია ტექსტების როგორც მრავალჯერადად (გამეორებით), ასევე ერთჯერადად კითხვის სტრატეგია;
- ტექსტების მრავალჯერადად კითხვა მოსწავლეებისთვის დამქანცველ და მოსაბეზრებელ საქმიანობად რომ არ იქცეს, ხშირად ვცვალოთ აქტივობები;
- მოსწავლეებში კითხვის სურვილის გაზრდისათვის შევქმნათ წიგნიერი გარემო. მივცეთ კლასში „კითხვის დრო". ერთმანეთის მიბაძვითა და რჩევით ჩემს მოსწავლეებს ბევრი წიგნი „შემოეკითხათ".
- ერთჯერადად საკითხავად აუცილებელია ტექსტები შევთავაზოთ მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მივცეთ საშუალება, თვითონ აირჩიონ ტექსტი (წიგნი) საკუთარი სურვილისა და ინტერესის შესაბამისად და შთაბეჭდილებები გაუზიარონ თანატოლებს;

- **მშობლებისთვის:**
- შეუქმნან შვილებს მცირე საბავშვო ბიბლიოთეკა. აჩუქონ წიგნი, როგორც საჩუქარი, როგორც ჯილდო;
- წიგნების შერჩევისას გაითვალისწინონ, რომ თემატიკა და შრიფტი იყოს ასაკის შესაბამისი, წიგნი იყოს უხვად და საინტერესოდ ილუსტრირებული.

- წიგნთან ურთიერთობას შვილები შეაჩვიონ საკუთარი მაგალითით, იკითხონ მათთან ერთად, ისაუბრონ და იმსჯელონ წაკითხულზე.

ამრიგად, წარმოებული კვლევის შედეგებიდან და მიგნებებიდან გამომდინარე, მომდევნო თავში შემოგთავაზებთ დასკვნას.

თავი VII

დასკვნა

დასახული მიზნის შესაბამისად, კვლევის პროცესში შევისწავლე ჩემს კლასში კითხვაში არსებული პრობლემები, დავადგინე მოსწავლეების მიღწევის დონე ამ მიმართულებით და ვეცადე, მეპოვა მიზეზები; სათანადო მეთოდური ლიტერატურის გაცნობისა და კოლეგების

რჩევების დახმარებით, შევარჩიე და განვახორციელე ინტერვენციები, შევაფასე და გავაანალიზე მიღწეული შედეგები.

კვლევის მიგნებებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ კითხვაში გაწაფვა მოსწავლეების კითხვისადმი მოტივირების უმთავრესი ფაქტორია.

გაწაფული კითხვის უნარების განვითარებისათვის აუცილებელია მუშაობა წარვმართოთ ერთდროულად როგორც განმეორებითი, ასევე ერთჯერადად კითხვის მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა კითხვისადმი მოტივირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნიერი გარემოს შექმნას სკოლასა თუ ოჯახში, საკითხავი ტექსტებისა თუ წიგნების კარგად შერჩევას. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ასაკი, ინტერესები, შესაძლებლობები. უნდა იყოს კარგად ილუსტრირებული და სათანადო შრიფტით, რათა კითხვის პროცესი გახდეს საინტერესო და სახალისო.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდებისა და აქტივობების სწორად შერჩევას და მიზანმიმართულად გამოყენებას. ამასთან, სასურველია აქტივობები იყოს მრავალფეროვანი, რათა სწავლება/სწავლის პროცესი მოსწავლეებისთვის მოსაბეზრებელი არ გახდეს.

შედეგების შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია, ინდივიდუალური შესაძლებლობებით და სწავლის სტილით. ამიტომ მისი შედეგები მისივე პროგრესის მიხედვით უნდა გავზომოთ.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ გავედი მისაღწევ შედეგებამდე და ჩემ მიერ წინასწარ ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზამდე: სწორად დაგეგმილი და განხორციელებული სასწავლო აქტივობების დახმარებით, ყველა მოსწავლემ შეძლო მიეღწია პროგრესისთვის და გაწაფულიყო კითხვაში თავისი შესაძლებლობების და პირველი კლასის მოთხოვნების შესაბამისად.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კვლევის პროცესში განხორციელებული ინტერვენციები მიზანმიმართული და შედეგიანი იყო. ტესტირებების შედეგების შედარებითმა ანალიზმა გამოკვეთა მოსწავლეთა მიერ გაწაფული კითხვის მიმართულებით მიღწეული პროგრესი.

მშობლებმა გაიაზრეს სწავლების ამ ეტაპზე კითხვაში გაწაფვის აუცილებლობა, მიიღეს რეკომენდაციები, როგორ შეუძლიათ დაეხმარონ შვილებს კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებასა და წიგნიერების დონის ამაღლებაში.

კვლევის პროცესმა დამარწმუნა, კვლევა, როგორც აქტივობა, ძალიან საჭირო და საინტერესოა მოქმედი პედაგოგისთვის. ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა დამეხმარება პრაქტიკის გაუჯობესებასა და პროფესიულ წინსვლაში.

ბიბლიოგრაფია

http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf.

ანა ჯანელიძე,ნინო ლაბარტყავა, ვიოლეტა კვირიკაშვილი, ქეთევან ქობალია. (2014). *მასწავლებლის წიგნი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. (2016). Retrieved from http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024

კაციტაძე, თ. (n.d.). *სწრაფი კითხვის მეთოდები და რჩევები.* Retrieved from https://edu.aris.ge/news/swarfi-kiTxvis-meTodebi-da-rCevebi.html).

კითხვის თანამედროვე მოდელები და სწავლების პრაქტიკა. (2008). თბილისი: გამოცდების ეროვნული ცენტრი.

კუტალაძე, ი. (2013). *PIRLS 2011. წიგნიერება. ანგარიში.* თბილისი: გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ნ.ბესელია, პ. პაპავა. (2011). *წიგნიერება დაწყებით კლასებში. მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის.* ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო.

ნათია ნაცვლიშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი. (2013). *კითხვის ეფექტური მეთოდები .* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

პ. პაპავა, თ. ჭ. (2012). *,,წიგნიერება“ მასწავლებლის სახელმძღვანელო.* სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.

პაატა პაპავა,ნათია ნაცვლიშვილი,ნატო მახარობლიძე, მაკა მახარობლიძე, ქეთი ფიცხელაური. (2013). *კითხვის ეფექტური მეთოდები.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

სამსონია, ი. (2013). *,,წიგნიერება" მასწავლებლის სახელმძღვანელო.* თბილისი: სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd). (2015). *კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-IVკლასები).*

ყოჩიაშვილი, ხ. (2017, ნოემბერი 28). ,,ლუფსის" მეთოდი გაწაფული კითხვის უნარის ჩამოსაყალიბებლად. *maststavlebeli.ge* .

დანართი

დანართი 1: კვლევის გეგმა

ეტაპები		თვეები						
		დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1.	საკვლევი თემის შერჩევა	✔						

2.	ლიტერატურის მიმოხილვა	✔	✔	✔				
3.	პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება	✔	✔					
4.	კვლევის მეთოდებისა და ინსტრუმენტების შერჩევა		✔	✔				
5.	მონაცემთა ანალიზი				✔	✔	✔	
6.	დასკვნები/მიგნებები					✔	✔	
7.	ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება		✔	✔	✔	✔	✔	
8.	ინტერვენციების შეფასება	~			✔		✔	
9.	კვლევის დასკვნა						✔	
10.	ანგარიშის დაწერა			✔	✔	✔	✔	✔

დანართი 2:

„ ერთწუთიანი" კითხვის ტესტის ნიმუშები:

ასო-ბგერების ცნობის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

მ	ო	ი	ფ	ე	5
შ	ხ	ძ	ნ	ს	10
ნ	შ	კ	ვ	გ	15
ა	მ	ჩ	ზ	დ	20
ი	ს	ლ	თ	უ	25
ო	ვ	ზ	გ	ჩ	30
კ	ე	ხ	ძ	მ	35
ჩ	შ	ლ	ო	დ	40
ვ	ნ	რ	უ	ზ	45
დ	თ	ფ	ზ	რ	50
ფ	შ	მ	ნ	თ	55
ს	ვ	ო	დ	ძ	60
ხ	კ	ჩ	ი	უ	65

ჯამური ქულა: _____ 65-დან

სიტყვების წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

ხე	ენა	რვა	დაფა	ალამი	5
ფენა	მახე	სკამი	გუნდა	სამოსი	10
თხა	შინ	ოდნავ	კუთხე	მიმინო	15
შორს	სიო	მხარე	ნესვი	სოფელი	20
ისევ	გოგრა	ჩარჩო	მარილი	ფერადი	25
ნოხი	აგური	თოვლი	თხილი	ურჩევს	30
ჩუმი	ფრთა	გუნდი	შრომა	მილიონი	35
ხვალ	ლეკვი	მაგრამ	კიდევ	სიზმარი	40
უკან	იმედი	ადრე	მამიდა	საუკუნე	45
თქვა	როდის	შაშვი	თაფლი	სინათლე	50
დანა	ნახეს	სავსე	ახლავე	ფანდური	55
კარადა	ნათურა	კაკალი	მაგიდა	სალამური	60

ჯამური ქულა: _____ 60-დან

დანართი 3:

კითხვარი მასწავლებლებს

ვატარებ კვლევას თემაზე „როგორ განუვითაროთ მოსწავლეებს გაწაფული კითხვის უნარი პირველ კლასში". მჭირდება თქვენი დახმარება და გამოცდილების გაზიარება. თქვენი რჩევები ჩემთვის მნიშვნელოვანია. წინასწარ გიხდით მადლობას.

რა არის მიზეზი, რომლის გამოც მოსწავლეებს დაწყებითი კლასების ბოლომდე უჭირთ ამ პრობლემის აღმოფხვრა და კითხვაში გაწაფვა? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- დაბალი შინაგანი მოტივაცია;
- სოციალური მდგომარეობა
- არაწიგნიერი გარემო;
- სახელმძღვანელოები;
- კითხვის დასწავლის არასწორი მეთოდოლოგია;
- არასწორად განაწილებული სწავლების პერიოდები პირველ კლასში;
- არასაკმარისი საგაკვეთილო დრო;
- მშობელთა არასაკმარისი ჩართულობა;
- დამატებითი რესურსების სიმცირე;
- სხვა----------

თქვენი აზრით, რომელი მიდგომა დაეხმარება მოსწავლეებს გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებაში?

- განმეორებითი ხმამაღალი კითხვა (ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და მოსმენა;
- მრავალფეროვანი, განსხვავებული ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა (როცა მოსწავლეები ინტენსიურად კითხულობენ სხვადასხვა სახის რაც შეიძლება ბევრ ტექსტს).

რომელ მეთოდებსა თუ სტრატეგიებს იყენებთ ამ უნარის გასაუმჯობესებლად?----------

დანართი 4: კითხვარი მშობლებს

პატივცემულო მშობელო!

ჩემს კლასში ვახორციელებ კვლევას „როგორ განუვითაროთ მოსწავლეებს გაწაფული კითხვის უნარები პირველ კლასში". კვლევის მიზანია, დავეხმარო და გამოვუმუშაო მოსწავლეებს გაწაფული კითხვისათვის საჭირო უნარები, რაც გულისხმობს: სიტყვების ავტომატურად, ძალისხმევის გარეშე, გამომეტყველებით, უშეცდომოდ და სწრაფად ამოკითხვას; სასვენი ნიშნების გათვალისწინებით, მცირე პაუზებით, მათ წინადადებებად დაჯგუფებას. ეს უნარები დაეხმარება მათ მომავალში შეძლონ ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა, მისი გაგება-გააზრება. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა და გულახდილობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმართვისთვის. თქვენი პასუხები არ გასაჯაროვდება. ამასთან, თუ რომელიმე კითხვა გიქმნით უხერხულობას, დატოვეთ შეუვსებელი.

პატივისცემით: ია ქოსაშვილი

მშობელი: ----------

მოსწავლე: ----------

1. გაქვთ თუ არა საოჯახო ბიბლიოთეკა?

ა. დიახ ბ. არა

2. არის თუ არა მასში საბავშვო წიგნები?

ა. დიახ ბ. არა

3. კითხულობენ თუ არა ოჯახის წევრები?

ა. სისტემატურად ბ. იშვიათად გ. არასდროს

4. კითხულობთ თუ არა შვილთან ერთად წიგნებს?

ა. სისტემატურად ბ. იშვიათად გ. არასდროს

5. რამდენად ყურადღებიანი და აქტიური მსმენელია?

ა. მისმენს ყურადღებით, გამოთქვამს აზრს და აკეთებს კომენტარებს;
ბ. მისმენს, მაგრამ მალე წყინდება;
გ. არ აინტერესებს, მიჭირს მისი ყურადღების მობილიზება.

6. რა ჟანრის ნაწარმოებები უფრო მოსწონს?

ა. ზღაპრები ;
ბ. ამბები თანტოლების შესახებ;
გ. შემეცნებითი ხასიათის (ცხოველებზე, მოგზაურობაზე, ქვეყნებზე...);
დ. ლექსები

7. აქვს თუ არ სურვილი დამოუკიდებლად დაათვალიეროს ან წაიკითხოს წიგნი?

ა. სიამოვნებით და სისტემატურად კითხულობს;
ბ. კითხულობს მხოლოდ ილუსტრირებულ წიგნებს;
გ. წიგნში სურათები უფრო მოსწონს , ვიდრე შინაარსი;
დ. არ აქვს წიგნთან ურთიერთობის სურვილი.

8. შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად წაკითხულის გააზრება?

ა. შეუძლია ისაუბროს დამოუკიდებლად წაკითხულ ტექსტზე;
ბ. დახმარებით შეუძლია გადმოსცეს შინაარსი;
გ. გადმოსცემს შინაარსს ცალკეული სიტყვების ახსნის შემდეგ;
დ. უჭირს დამოუკიდებლად წაკითხულის გაგება, რადგან უჭირს კითხვა.

9. თუ ბავშვს კითხვა არ უყვარს, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

ა. უჭირს კითხვა;
ბ. ტექსტები მისთვის უინტერესოა;
გ. ვერ იგებს ცალკეულ სიტყვებს;
დ. სხვა (ჩაწერეთ)
_____

10. რა ხერხს მიმართავთ ბავშვის წასახალისებლად, რომ მას გაუჩნდეს წიგნის კითხვის სურვილი და ინტერესი? ამართლებს იგი?

_____

გმადლობთ მონაწილეობისათვის!

დანართი 5:

ტესტირების შედეგების აღრიცხვის ცხრილი

მოსწავლე	ასოები		სიტყვები				
	I	I I	I	II	III	IV	V
	36	75	15	24	25	28	32
	38	70	20	24	21	27	31
	60	76	13	18	20	27	34
	42	86	11	24	31	38	48
	20	25	6	7	9	10	13
	70	112	32	32	40	49	51
	61	100	15	20	21	27	30
	35	57	13	17	17	24	23
	60	80	17	19	20	26	28
	70	110	20	29	29	33	33
	65	100	20	23	31	38	39
	55	74	37	32	39	48	50
	68	100	19	16	16	20	25
	70	90	27	29	37	44	45
	50	94	5	10	12	17	24
	60	72	15	16	12	15	30
	55	92	8	20	18	17	24
	44	76	10	14	18	24	26
	39	90	5	13	15	17	19
	32	60	12	11	12	13	15

დანართი: 6

წასაკითხი სიტყვების სავარაუდო რაოდენობის ცხრილი კლასების მიხედვით (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ G-PRIED-ის მასალები).

ცხრილი კლასების მიხედვით

კლასი	დაბალი მაჩვენებელი (რისკის ზონა)	დასაშვები საშუალო მაჩვენებელი	კარგი (სასურველი) მაჩვენებელი
მეორე	22-ზე ნაკლები	22-დან 34-ის ჩათვლით	34-ზე მეტი
მესამე	29-ზე ნაკლები	29-დან 45-ის ჩათვლით	45-ზე მეტი
მეოთხე	40-ზე ნაკლები	40-დან 58-ის ჩათვლით	58-ზე მეტი

დანართი: 7

მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის ამსახველი დიაგრამა (ნიმუში)



კვლევის რეფლექსია

ჩემი მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, 2018-2019 სასწავლო წელს, განვახორციელე საკუთარი პრაქტიკის კვლევა: როგორ განუვითაროთ მოსწავლეებს გაწაფული კითხვის უნარი პირველ კლასში.

საკვლევი საკითხის განსაზღვრის შემდეგ გავეცანი სათანადო მეთოდურ ლიტერატურას, დავგეგმე და განვახორციელე საჭირო ინტერვენციები. პერიოდულად ტესტირების საშუალებით ვაწარმოებდი შედეგების მონიტორინგს.

კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილების კოლეგებისთვის გაზიარების მიზნით, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში წარვუდგინე ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასების კათედრას, ფასილიტატორსა და შეფასების ჯგუფის წევრებს. რამდენიმე პედაგოგი უკვე იცნობდა ჩემ მიერ არჩეულ საკვლევ საკითხს, რჩევებს მაძლევდნენ მუშაობის პროცესში და ინტერესით ელოდნენ შედეგებს.

პრეზენტაციაზე აუდიტორიას გავაცანი კვლევის მიზანი, განხილული ლიტერატურა, გამოყენებული ინტერვენციები და მიღებული შედეგები, წარვუდგინე მონაცემთა ანალიზის ამსახველი დიაგრამები, გავაცანი კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები და მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

კოლეგებმა ძირითადად დადებითად შეაფასეს ჩატარებული კვლევა. მათ აღნიშნეს, რომ საკითხი დაწყებითი საფეხურისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია. მოიწონეს განხორციელებული ინტერვენციები, ისაუბრეს განმეორებითი და ერთჯრადად კითხვის მეთოდების თავისებურებებზე. ზოგმა მათგანმა დეტალურად ჩაინიშნა განხორციელებული აქტივობები და სურვილი გამოთქვა, გამოიყენოს საკუთარ პრაქტიკაში.

მირჩიეს სხვა აქტივობებიც, მაგალითად, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გაწაფული კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად. საინტერესოდ მიიჩნიეს ჩემი იდეა, კვლევის გაგრძელების მიზნით სექტემბერში ტესტირების ჩატარების შესახებ და მთხოვეს, დამატებით გავაცნო მიღებული შედეგები.

ამრიგად, კვლევის შედეგებიდან და კოლეგების უკუკავშირიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი კვლევის მიზანი მიღწეულია:

- მოსწავლეებმა განივითარეს გაწაფული კითხვის უნარი, გაიზარდა მათი მოტივაცია კითხვისადმი;
- აღნიშნული კვლევა ჩემთვის პირველია. ამრიგად, მივიღე მნიშვნელოვანი გამოცდილება;
- მუშაობის პროცესში ჩემი ცოდნა და გამოცდილება კითხვის სწავლების მიმართულებით ერთგვარად შევაჯამე და შევავსე ახალი ცოდნითა და გამოცდილებით;
- კოლეგებმა გაიზიარეს ჩემი გამოცდილება, რომელსაც იმედია, მომავალში გამოიყენებენ პედაგოგიური საკუთარი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

წარმოდგენილ კვლევის ანგარიშს გამოვაქვეყნებ ჩემს ბლოგზე.